სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/35

ქ. თბილისი

14 აგვისტო 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტთან არსებული თვითდაფინანსებითი „მშენებლობაში ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვისა და მომსახურების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/134 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 14 აგვისტოს №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან შეიქმნას თვითდაფინანსებითი „მშენებლობაში ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება-დანერგვისა და მომსახურების ცენტრი“ და დამტკიცდეს მისი დებულება;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**